საწოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
49843564999323

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231077807

რეგისტრაციის თარიღი

09.08.2023 წ

ნოტარიუსი: ალექსანდრე მამისაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი თემქა მე-10 კვარტალი, კორპუსი 36ა, ბინა N47
ტელეფონი: 2-60-69-13

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ცხრა აგვისტოს მე ნოტარიუს ალექსანდრე მამისაშვილს, ჩემს სანოტრო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, თემქა მე-10 კვარტალი, კორპუსი 36ა, ბინა 47, მომმართა გია **ბასიაშვილმა, როგორც შპს "ეიმ ბილდინგ სითი" -ს (ს/ნ 400154319) დირექტორმა,** რომელმაც განაცხადა, რომ სურდა რწმუნებულების შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **შპს "ეიმ ბილდინგ სითი"- ს (ს/ნ 400154319) დირექტორმა გია ბასიაშვილმა /დაბ. 03.08.1991წ. ბორჯომში, რეგისტრირებული: თბილისი სულხან-საბას ქ. №7, პირადი №01022009708/** მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე **გია ბასიაშვილს,** მან განაცხადა, რომ რწმუნებულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება

ორიათას ოცდასამი წლის ცხრა აგვისტოს მე, **შპს "ეიმ ბილდინგ სითი"-ს (ს/ნ 400154319) დირექტორი გია ბასიაშვილი ,** შემდგომში "მარწმუნებელი " – **შპს „ტერასა გრუპ"-ს (ს/კ: 404536445) და მის დირექტორს - დავით ჩიჩუას (დაბ. 18.04.1987წ. ზუგდიდში, პირადი №19001032035)** შემდგომში "რწმუნებულს" ვანიჭებ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას შემდეგზე:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი N01.17.10.002.398) მდებარე მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კორექტირებასთან და შესაბამისი ნებართვის გაცემასთან.

მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია მარწმენებლის სახელით კომპეტენტურ ორგანოებში წარადგინოს განცხადება/განაცხადი წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით). შექმნას და მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახის დოკუმენტი, ხელი მოაწეროს შესაბამის საბუთებს, გაასაჩივროს მიღებული აქტები. გადაწყვეტილებები.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია. მინდობილი დავალებების შესრულებასთან, მინდობილობა ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

გადახდილია 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი, აქედან სანოტარო საზღაური 30 (ოცდაათი) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მიმნდობი: გია ბასიაშვილი

ნოტარიუსი: ალექსანდრე მამისაშვილი

თანხმობა

ქ. თბილისი

03 აგვისტო 2023 წ.

მე, ლაშა ესაიაშვილი (პნ 01012000957) საკუთრების/თანასაკუთრების უფლებით ვფლობ მიწის ნაკვეთზე: ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა #44, საკ. კოდი: 01.17.10.002.398; 1800 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო, მშენებარე მრავალსართულიან/მრავალფუნქციურ შენობაში მდებარე შემდეგ უძრავ ქონებებს:

1. ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა #44, ავტოსადგომი #39 (მშენებარე) , 13,8 კვ.მ. საკ. კოდი: 01.17.10.002.398.01.03.039, საკუთრების ტიპი: საკუთრება.
2. ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა #44, კომერციული ფართი (მშენებარე) , 100 კვ.მ. საკ. კოდი: 01.17.10.002.398.01.02.500, საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება.
3. ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა #44, სართული 11, ბინა #52 (მშენებარე) , 61,5 კვ.მ. საკ. კოდი: 01.17.10.002.398.01.01.052, საკუთრების ტიპი: საკუთრება.

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ თანხმობას, რომ განხორციელდეს მიწის ნაკვეთზე მდებარე ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა #44, საკ. კოდი: 01.17.10.002.398; 1800 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული პროექტის (ბრძ #6384652 – 13.03.2023) კორექტირება ჩემს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული ფართების უცვლელად.

ლაშა ესაიაშვილი (პნ 01012000957)

ლაშა ესაიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231052838
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.08.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნუნუ კაკოჩაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 30 69 98; 591 70 99 72
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	30285012014523

ორი ათას ოცდასამი წლის სამ აგვისტოს, მე, ნოტარიუსს ნუნუ კაკოჩაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67-ის მიმდებარედ მომმართა ლაშა ესაიაშვილმა.მან წარმოადგინა თ ა ნ ხ მ ო ბ ა და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ლაშა ესაიაშვილმა (დაბ.:02.06.1977წ, პ/ნ 01012000957, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 61) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგშემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ აქტს განთავსებულს ერთ გვერდზე, დაუმოწმდა ერთი ხელმოწერა ერთ ეგზემპლიარზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: თორმეტი ლარი და რვა თეთრი. საიდანაც ექვსი ლარი არის, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გადახდევინების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (#507 29.12.2011 წ) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. 1.08 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, და ხუთი (5) ლარი ელ. რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:---------- /ნუნუ კაკოჩაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18